გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 53

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ ცხინვალის რეგიონის ჟურნალისტიკის ფონდისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ ცხინვალის რეგიონის ჟურნალისტიკის ფონდის თავმჯდომარის 2024 წლის 14 თებერვლის N19/2024045410-20 განცხადების შესაბამისად, დადგა საკითხი, ქალაქ გორში, სამების ქ. N1-ში მდებარე შენობაში (ს.კ. 66.45.20.573) არსებული ერთი ოთახის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. ჟურნალისტიკის ფონდი ქართული ჟურნალისტიკის შემდგომი განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით, აქტიურად მონაწილეობს უახლესი ქართული ჟურნალისტიკის მატიანეს შექმნაში, ასახავს ცხინვალში გამომავალ ერთადერთ ქართულენოვანი და დევნილი გაზეთების ისტორიას, ხელს უწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურებას მშვიდობის მისაღწევად. ასევე, რეგიონში შექმნილი პროცესებიდან გამომდინარე, აქტიურ მონაწილეობას იღებს ფორსმაჟორულ მდგომარეობაში მყოფი ჟურნალისტების პროფესიული უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ა(ა)იპ ცხინვალის რეგიონის ჟურნალისტიკის ფონდს (ს/ნ 418469721) უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით საოფისედ გადაეცეს, ქალაქ გორში, სამების ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ. 66.45.20.573) ნაწილი ფართი, მეორე სართულზე მდებარე 1 (ერთი) ოთახი - 20.59 კვ.მ, ორი წლის ვადით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ ცხინვალის რეგიონის ჟურნალისტიკის ფონდს (ს/ნ 418469721) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, სამების ქ. N1-ში მდებარე შენობის (ს.კ. 66.45.20.573) მეორე სართულზე მდებარე 1 (ერთი) ოთახი, ფართი 20.59 კვ.მ.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

მეორე სართულის გეგმა მ. 1:200



ჟურნალისტიკის ფონდი